დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

თებერვალი, 2024

დუბლინში ქართული პოლიფონიის კონცერტი გაიმართა

4 თებერვალს, ქ. დუბლინის წმ. ავგუსტინეს ტაძარში, დიასპორული ორგანიზაციის - „ქართული კულტურის ცენტრი ირლანდიაში - ქართული დიასპორა“ (ხელმძღვანელები: ლელა შურუპოვა, ზურა ჯავახიშვილი) და ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ქართული პოლიფონიის კონცერტი გაიმართა.

მაყურებლის წინაშე ქართული საგალობლები და ფოლკლორული სიმღერები შეასრულეს საქართველოდან მიწვეულმა სტუმრებმა - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა, ნატალია ზუმბაძემ, ეთნომუსიკოლოგმა, დავით შუღლიაშვილმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა, ოთარ კაპანაძემ და ირლანდიაში მოქმედმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კავკასიონი“.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ირლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ზურაბაშვილმა.

კონცერტს ესწრებოდნენ ირლანდიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ირლანდიელი სტუმრები და ირლანდიაში მცხოვრები ქართველები.

ნიდერლანდებში ქეთევან შარუმაშვილის სოლო კონცერტი გაიმართა

4 თებერვალს, ქ. დე ბილტის მუნიციპალიტეტის ბილთჰოვენის საკონცერტო დარბაზში, ნიდერლანდებში მოღვაწე ქართველი პიანისტის, ქეთევან შარუმაშვილის სოლო კონცერტი გაიმართა. ასევე, შედგა პიანისტის ახალი დისკის, „Connected“ წარდგენა, რომელიც შეიცავს კლასიკური მუსიკის ისტორიის სხვადასხვა პერიოდის საფორტეპიანო ნაწარმოებებს.

კონცერტს ესწრებოდნენ ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით სოლომონია, ადგილობრივი საზოგადოებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები, აგრეთვე, ქალაქ დე ბილტის მერი, შურდ პოტერსი.

ქართული კულტურის ცენტრის „ფესვები“ კონცერტი ნიუ-იორკში

4 თებერვალს, ქ. ნიუ-იორკში, Oceana Theater-ში ქართული კულტურის ცენტრის „ფესვები“ კონცერტი გაიმართა. ღონისძიება მიეძღვნა ცენტრის ხელმძღვანელების - ვანო გოდერძიშვილისა და შორენა ბარბაქაძის, ასევე, დავით ამბროსიძის აშშ-ში მოღვაწეობის 25 წლისთავს.
ანსამბლის წევრები მაყურებლის წინაშე ქართული ხალხური ცეკვებით წარდგნენ.

ამსტერდამში საქართველოს შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

9 თებერვალს, ქ. ამსტერდამში, ნიდერლანდების სამეფოს მრეწველთა კლუბის (De Koninklijke Industrieele Groote Club) ორგანიზებით, საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, ქვეყნის ეკონომიკურ-ტურისტული პოტენციალის შესახებ პრეზენტაცია მოეწყო.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ნიდერლანდებში მოღვაწე ქართველი ხელოვანების, ნათია და ბაია ახვლედიანების ნამუშევრების გამოფენა.
ღონისძიება სიტყვით გახსნა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით სოლომონიამ. ელჩმა აღნიშნა, რომ უძველესი ისტორია, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ორიგინალური სამზარეულო, ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნება, არსებული კურორტები, ღვინის სამშობლოს სტატუსი, გამოარჩევს საქართველოს ბევრი სხვა ქვეყნისგან და აქცევს ოთხი სეზონის სასურველ ტურისტულ დანიშნულებად.
პრეზენტაციას ესწრებოდნენ ბიზნეს-სექტორის, კულტურის სფეროს, მედიის, ტურისტული კომპანიების და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

პრაღაში სერგო ფარაჯანოვის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

9 თებერვალს, ქ. პრაღაში, ჩეხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ორგანიზებითა და ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის საელჩოების ჩართულობით, ცნობილი კინორეჟისორის, სერგო ფარაჯანოვის 100 წლის იუბილე აღინიშნა.
ღონისძიების ფარგლებში, რეჟისორის შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული ფილმის - „ბროწეულის ფერი“ ჩვენება მოეწყო.
დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, თეა მაისურაძემ და ჩეხეთის რესპუბლიკაში სომხეთისა და უკრაინის საელჩოს წარმომადგენლებმა. მომხსენებლებმა ისაუბრეს ფარაჯანოვის შემოქმედების მნიშვნელობაზე სამივე ქვეყნის კულტურისა და კერძოდ, კინემატოგრაფიის სფეროს განვითარების საქმეში, აღნიშნეს, რომ კინორეჟისორის ცხოვრება და მოღვაწეობა არსებითად იყო დაკავშირებული სამივე ქვეყანასთან.
ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ ქართული, სომხური და უკრაინული დიასპორის წარმომადგენლები და ჩეხი სტუმრები.

ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრმა „კავკასია“ ქართველ პოეტს, ქეთი ნიჟარაძეს უმასპინძლა



10 თებერვალს, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრმა „კავკასია“ ქართველ პოეტს, მთარგმნელსა და მეცნიერს, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) პროფესორს, ქეთი ნიჟარაძეს უმასპინძლა. ქეთი ნიჟარაძემ ისაუბრა საკუთარი შემოქმედებისა და მის მიერ ბოლო წლებში მომზადებული და გამოცემული წიგნების შესახებ, რომელთა შორისაა, „ქართული ენა – გრამატიკის, თეორიული ენათმეცნიერებისა და მეტყველების კულტურის მოკლე პრაქტიკული კურსი ჟურნალისტებისათვის“.

ქეთი ნიჟარაძე არის ცნობილი ელინისტი, ჰომეროლოგი, რომელიც იკვლევს ანტიკურ ლიტერატურას. 10 პოეტური კრებულის გარდა, გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები და შრომები ელინისტიკაში. მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი წიგნი ჰომეროლოგიაში – „სცენები ილიადადან“, რომელშიც შესულია „ილიადას“ 11 ძირითადი სცენის პოეტური თარგმანები, პარალელური ბერძნული ტექსტით და კომენტარებით.

დამსწრე საზოგადოების თხოვნით, ქეთი ნიჟარაძემ ჩაატარა ლექცია თემაზე „რუსთაველი და ჰომეროსი“.

საღამოს უძღვებოდა კლასიკური ფილოლოგიის დოქტორი, ათენის ქართული ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ავთანდილ მიქაბერიძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული, გელა ჯაფარიძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

აშშ-ში დავითობის დღესასწაული აღინიშნა

10 თებერვალს, ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის პოკონოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში დავითობის დღესასწაული აღინიშნა. საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო წმინდა გრიგოლ ხანძთელის ეკლესიასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ხანძთელი“. ანსამბლის წევრები მაყურებლის წინაშე ქართული ტრადიციული ცეკვებით წარდგნენ.

ასოციაციამ „ქართველთა კულტურის კერა - ლაზი“ დაარსებიდან 15 წლის იუბილე აღნიშნა



10 თებერვალს, საფრანგეთში მოქმედმა ასოციაციამ „ქართველთა კულტურის კერა - ლაზი“ (ხელმძღვანელები: ეკა ბოდოკია და დაჩი ჩაგანავა) დაარსებიდან 15 წლის იუბილე აღნიშნა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საზეიმო კარნავალი, სახელწოდებით „ლაზის ძველი და ახალი თაობის შეხვედრა“ გამართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კულტურის ცენტრთან არსებული ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის ძველი და ახალი თაობის მოსწავლეები და მასწავლებლები. საღამოს უძღვებოდა საკვირაო სკოლის პედაგოგი, ნანა ფალავანდიშვილი.

საღამო გაიხსნა ტრადიციული ქართული ცეკვით „დაისი“. მოსწავლეებმა ქართული ცეკვები მასწავლებლებთან და ქორეოგრაფებთან, ლალი ჯაშიაშვილთან და ირაკლი ობოლაძესთან ერთად შეასრულეს.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ვიქტორინა სახალისო შეკითხვებით, რომელიც მოამზადა სკოლის პედაგოგმა ირმა ჩხვიმიანმა. გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ათენში თეატრალური წარმოდგენა გაიმართა

11 თებერვალს, ბერძნულ-ქართული კულტურის ასოციაციასთან „არმაზი“ (ხელმძღვანელი ხათუნა ლობჟანიძე) არსებულმა თეატრმა „ქართული თეატრი ათენში“ (ხელმძღვანელი ნიკოლოზ ტყავაძე) საქართველოდან ჩასულ „სივრცის თეატრს“ უმასპინძლა.
„სივრცის თეატრი“ მაყურებლის წინაშე გიორგი ერისთავის სპექტაკლით „ძუნწი“ წარდგა.
წარმოდგენას ესწრებოდნენ ათენის ქართული დიასპორის წარმომადგენლები და საქართველოს საელჩოს კონსული, გელა ჯაფარიძე.
სპექტაკლის დასასრულს, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა გელა ჯაფარიძემ, რომელმაც თეატრის ხელმძღვანელობასა და მსახიობებს საბერძნეთში ქართული თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა და მათ მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ქართული ღვინის დეგუსტაციის საღამო ვაშინგტონში

12 თებერვალს, აშშ-ში საქართველოს საელჩომ, ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოსთან ერთად, USAID-ის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ქართული ღვინის დეგუსტაციის საღამოს უმასპინძლა.
დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით ზალკალიანმა და ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტმა, მამუკა წერეთელმა. დავით ზალკალიანმა ხაზი გაუსვა აშშ-ში ქართული ღვინის მზარდი ექსპორტის მნიშვნელობას და მადლობა გადაუხადა ამერიკულ მხარეს, USAID-სა და პროგრამის პარტნიორ ორგანიზაციებს - Cultivating New Frontiers in Agriculture - CNFA-სა და ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ვაშინგტონში მოღვაწე ჟურნალისტები, დიპლომატები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

ქართული დიასპორის წარმომადგენლების სტუმრობა ბრიტანეთის მუზეუმში

12 თებერვალს, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ბრიტანეთის მუზეუმში გაიმართა შუასაუკუნეების ქართული უნიკალური ოქროს ჯვრისა და ყელსაბამის გამოფენა (special viewing), რომელსაც ესწრებოდნენ ბრიტანეთში მცხოვრები ქართველი ბავშვები და მოზარდები. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, სოფიო ქაცარავა, ბრიტანეთის მუზეუმის დირექტორი, სერ მარკ ჯონსი და გამოფენის კურატორი, რეიჩელ კინგი.
გამოფენაზე მისულ სტუმრებს მიეწოდათ ინფორმაცია ჯვრისა და ყელსაბამის, ასევე, ბრიტანეთის მუზეუმში დაცული სხვა ქართული არტეფაქტების შესახებ.

სტოკჰოლმში „საქართველოს შვედი მეგობრების ასოციაციის“ ყოველწლიური შეკრება გაიმართა

15 თებერვალს, ქ. სტოკჰოლმში, „საქართველოს შვედი მეგობრების ასოციაციის“ ყოველწლიური შეკრება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, ასოციაციის თავმჯდომარედ, ერთწლიანი ვადით, კვლავ მისი დამაარსებელი, სვენ ჰოლმსტრომი აირჩიეს.
ღონისძიების ფარგლებში, შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა ასოციაციის თავმჯდომარეს, სვენ ჰოლმსტრომს, თავმჯდომარის მოადგილეს, ელჩ პერ ეკლუნდსა და მმართველი საბჭოს წევრს, ერიკ იონსონს, საელჩოს სახელით, შვედეთ-საქართველოს ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის, სიმბოლური საჩუქრები და მადლობის სერტიფიკატები გადასცეს.
საქართველოს საელჩო ნაყოფიერად თანამშრომლობს „საქართველოს შვედი მეგობრების ასოციაციასთან“, რომელიც შვედეთში საქართველოს პოპულარიზაციას ეწევა და საქართველოს კულტურით, ისტორიით, ხელოვნებითა და ტრადიციებით დაინტერესებულ ადამიანებს აერთიანებს.

ისრაელში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს მადლობის სიგელები გადაეცათ

18 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის საბჭოს სხდომაზე, 2022-2023 წლებში ფონდის საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის კათოლიკოს-პატრიარქის მადლობის სიგელები, სხვა ამაგდარ პიროვნებებთან ერთად, გადაეცათ ისრაელში ქართული ორგანიზაციის „თევერო ტური“ დამფუძნებლებს, თეა სირაძესა და ვერიკო დგებუაძეს. ორგანიზაცია დაარსების დღიდან ქართული დიასპორის აქტიურ წევრებთან ერთად, ისრაელში ქართული კულტურული კვალის შესწავლა-წარმოჩენის და პოპულარიზაციისათვის ჰუმანიტარულ და შემეცნებით საქმიანობას ეწევა.

„თევერო ტურისა“ და ისრაელში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ერთობლივმა ძალისხმევამ და შემოწირულობებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქ ბეთლემში არსებული ქართული სახლის აღდგენისა და მოპირკეთების პროცესში.

შეხვედრა ისრაელში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

18 თებერვალს, ქ. ბათ-იამის მერმა, ცვიკა ბროტმა და ქალაქის მუნიციპალური საბჭოს ერთადერთმა ქართველმა წევრმა, დავიდ პაპიამ, ქართული დიასპორული ორგანიზაციების „ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში“ და ქართული ცეკვის ანსამბლი „ფესვები“ წევრებთან შეხვედრა გამართეს.

დავიდ პაპიამ და ცვიკა ბროტმა დიასპორის წევრებს ქალაქის საკეთილდღეოდ საქმიანობის აქტიური მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს და მომავალი თანამშრომლობისკენ მოუწოდეს. შეხვედრაზე ქართული დიასპორული ორგანიზაციების წევრებმა ქალაქის ხელმძღვანელობას ბათ-იამის განვითარების საკუთარი კონცეფცია და დიასპორასთან თანამშრომლობის თავიანთი ხედვა და საჭიროებები გაუზიარეს.

სანქტ-პეტერბურგში ჯანო ლიპარტელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

18 თებერვალს, ქ. სანქტ-პეტერბურგში, ქართველი ქორეოგრაფის ჯანო ლიპარტელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სანქტ-პეტერბურგში მოქმედი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, მათ შორის იყო ჯანო ლიპარტელიანის სახელობის ქართული ცეკვის ანსამბლი „სიხარული“, რომელსაც სოფიკო ლიპარტელიანი და ქრისტინა ბულია ხელმძღვანელობენ.
კონცერტზე ანსამბლ „სიხარულის“ სხვადასხვა თაობის მოცეკვავეებმა შეასრულეს ქართული ცეკვები.



რიგაში სერგო ფარაჯანოვის 100 წლის იუბილე აღინიშნა

19 თებერვალს, ქ. რიგის ბანკ რიეტუმის გალერეაში, ლატვიაში სომხური დიასპორის ორგანიზებით, გამოჩენილი რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის 100 წლის იუბილე აღინიშნა. საზეიმო მიღებაზე სიტყვით გამოვიდა ქართული დიასპორული ორგანიზაციის „სამშობლო“ თავმჯდომარე, იმედი კოკაია, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა სერგო ფარაჯანოვის საქართველოში ცხოვრების ისტორია და უამბო რეჟისორის განსაკუთრებული სიყვარულის შესახებ მშობლიური თბილისის მიმართ, ქალაქისა, სადაც ქუჩა, რომელზეც მსოფლიო კინოს დიდოსტატი ცხოვრობდა, მის სახელს ატარებს, ხოლო სახლში - გახსნილია სასტუმრო „ფარაჯანოვი“ სამუზეუმო სივრცით.



ფრანკფურტის ქართული საკვირაო სკოლა მშობლიური ენის წიგნების გამოფენაზე

21 თებერვალს, ქ. ფრანკფურტის მერიის შენობაში, დედა ენის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „ფრანკფურტის უცხოელთა წარმომადგენლობის“ მხარდაჭერით, სხვადასხვა ქვეყნის მშობლიური ენის წიგნების გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე ქართული, როგორც მშობლიური ენა წარადგინა ფრანკფურტის ქართულ-გერმანული კულტურისა და განათლების ორგანიზაციასთან „გეორგიკა“ არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ფრანკფურტის ქართული სკოლის დირექტორი, მაია შავლიაშვილი, სკოლის პედაგოგები, ნინო ხალვაში-ვირთ და მზია წიკლაური, ასევე, გაერთიანება „გეორგიკას“ საბჭოს წევრები, მათ შორის, ჰანეს ვირთ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებასთან ქართული სკოლისა და მშობლიური ენის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ღონისძიების ფარგლებში საზოგადოება „გეორგიკას“ წევრები შეხვდნენ ქალაქის მერს, მაიკ იოსეფს.“

„ქართული კულტურის დღეები“ ვარშავაში

22-25 თებერვალს, ქ. ვარშავაში, ნიდერლანდების სამეფოში მოქმედი „ქართული კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით, ამსტერდამისა და ვარშავის უნივერსიტეტების აქტიური ჩართულობითა და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით „ქართული კულტურის დღეები“ გაიმართა.
ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები - კალიგრაფიის მასტერკლასი, ქართული ღვინისა და სამზარეულოს დეგუსტაცია. ღონისძიებაზე მისული სტუდენტები გაეცნენ საქართველოს მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს.
პროგრამის ფარგლებში გაიმართა „ნიდერლანდების ქართული კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელის, თიკა სვანიძე-ვენკოს წიგნის - „ქალი სხვა სამყაროდან“ ინგლისური თარგმანის პრეზენტაცია.
ღონისძიებას ესწრებოდნენ პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული თეიმურაზ ფურცელაძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ათენში ქართველი მსახიობების მონაწილეობით თეატრალური წარმოდგენა გაიმართა

24 თებერვალს, ბერძნულ-ქართული კულტურის ასოციაციასთან „არმაზი“ (ხელმძღვანელი ხათუნა ლობჟანიძე) არსებულმა თეატრმა „ქართული თეატრი ათენში“ (ხელმძღვანელი ნიკოლოზ ტყავაძე) საქართველოდან ჩასულ თეატრს „არტ-დრონი“ უმასპინძლა.
თეატრი მაყურებლის წინაშე წარსდგა სპექტაკლით „გაფრენა“ (პიესის ავტორი და რეჟისორი ლუკა მონავარდისაშვილი). სპექტაკლში 14, 15 და 16 წლის მსახიობები მონაწილეობდნენ, რომლებმაც მაყურებელთა დიდი მოწონება და ხანგრძლივი ოვაციები დაიმსახურეს.
სპექტაკლს ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დავით კორძაძე, საელჩოს კონსული გელა ჯაფარიძე, ათენში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და დიასპორის წარმომადგენლები.
სპექტაკლის დასასრულს, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა დავით კორძაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა თეატრის ხელმძღვანელობასა და მსახიობებს, საბერძნეთში ქართული თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.
26 თებერვალს, კონსულმა გელა ჯაფარიძემ თეატრის ხელმძღვანელობასა და მსახიობებს საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში უმასპინძლა და სამადლობელი სიგელები გადასცა.

თესალონიკში ქართული დიზაინის და ქართული ღვინის ფესტივალი ჩატარდა

24-25 თებერვალს ქ. თესალონიკში, ქართული საზოგადოება „საქართველო“-ს მხარდაჭერით ქართული დიზაინის და ქართული ღვინის ფესტივალი ჩატარდა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართველი დიზაინერების - სოფო მინაძის, მერიკო ფხაკაძის, მარიამ რატიანის და სხვათა ხელნაკეთი ნამუშევრები, ასევე თავისი პროდუქცია წარმოადგინა მეღვინემ ირაკლი მინაძემ.

ფესტივალზე მონაწილეობდნენ ქ. თესალონიკში მოქმედი ქართული ცეკვის ანსამბლი „საქართველო“, რუსუდან საბაძის ხელმძღვანელობით და მოდელების სტუდია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდენენ საქართველოს კონსული თესალონიკში, კარლო ჩხაიძე და ამბელოკიპის რაიონის მერის მოადგილე, პავლო კესოგლუ. მათ ფესტივალის მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები და სიგელები გადასცეს.



ვენაში ოტია იოსელიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

25 თებერვალს, ქ. ვენაში, „ავსტრიის ქართულ ცენტრთან“ არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში „ივერიელი“, მწერალ ოტია იოსელიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ მწერლის ოჯახის წევრები, უმცროსი ოტია იოსელიანი, ნუცა ცისკარიშვილი და პატარა დაჩი იოსელიანი.
ღონისძიების მონაწილეებმა დიდი სითბოთი გაიხსენეს მწერალი და ისაუბრეს მის შემოქმედებაზე. ნუცა ცისკარიშვილმა პატარებს ოტია იოსელიანის ზღაპრები დაურიგა, ასევე, ქართულ საკვირაო სკოლას საჩუქრად მწერლის სხვა წიგნებიც გადასცა.
შეხვედრას საკვირაო სკოლის აღსაზრდელები და მათი მშობლები ესწრებოდნენ.

პოლონეთში გიორგი ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით ჯუზეპე ვერდის „რეკვიემის“ პრემიერა გაიმართა

25 თებერვალს, ქ. გდანსკის ფრედერიკ შოპენის სახელობის ფილარმონიაში, კომპოზიტორ ჯუზეპე ვერდის „რეკვიემის“ პრემიერა გაიმართა.
ვერდის „რეკვიემს“ გდანსკის ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი, ცნობილი ქართველი ხელოვანი, გიორგი ჭიჭინაძე დირიჟორობდა.
პრემიერას ესწრებოდა პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დიანა ჟღენტი.
წარმოდგენის დასრულების შემდეგ, საქართველოს ელჩი, გდანსკის ფილარმონიის ხელმძღვანელებს, საოპერო მომღერლებსა და თავად მაესტროს პირადად შეხვდა და მორიგი წარმატებული გამოსვლა მიულოცა.

ანასტასია ძიძიკაშვილის ნამუშევრების გამოფენა მილანში

ქართულ-იტალიური ლიტერატურული რესტორანი ,,მერისი“(დამფუძნებელი: მელი თურმანიძე), რომელიც მილანში უკვე 6 თვეა ფუნქციონირებს და ქართულ სამზარეულოსა და კულტურას აცნობს იტალიელ და უცხოელ სტუმრებს, აქტიურად მართავს ემიგრაციაში მცხოვრები ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენებს.
ამჯერად, ლიტერატურულმა რესტორანმა ქართველი მხატვრის, ანასტასია ძიძიკაშვილის შემოქმედებას უმასპინძლა, რომელმაც 1988 წელს თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო-პროფესიული სწავლების უნივერსიტეტი დაასრულა, თეატრალური მხატვრის პროფესიით. მისი მრავალმხრივი შემოქმედება მოიცავს სხვადასხვა საქმიანობას, რომელთა შორის აღსანიშნავია ფესტივალ Art Gen-ის მხატვრული ხელმძღვანელობა. მხატვრის შემოქმედება გამორჩეულია ისეთი მასალების მრავალფეროვნებით, როგორიცაა სხვადასხვა ქსოვილი, მძივი, თუ ქვა.
იტალიელ და ქართველ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ერთი თვის განმავლობაში ეხილათ ანასტასია ძიძიკაშვილის რელიგიურ, პატრიოტულ თუ ქალთა მიმართ ძალადობის თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები. გარდა ამისა, ქართველი ხელოვანი აქტიურად მუშაობს ხელნაკეთი თოჯინების შექმნაზე, რომელთაგან ერთ-ერთი ,,მერისში“ გამოიფინა.

სასწავლო კურსები ფლორენციაში ქართველი ემიგრანტებისათვის

ფლორენციაში, სპეციალურად ქართველი ემიგრანტებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსები გაიხსნა. პირველმა ჯგუფმა კურსი 1 თებერვალს დაასრულა, მეორე ჯგუფის მეცადინეობები კი 29 თებერვალს დაიწყო.
ეს გახლავთ პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი, რომელიც შეიცავს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას და პასუხს არაერთ შეკითხვაზე, როგორიცაა, როგორ ამოვიცნოთ საგანგაშო სიტუაცია, რა შემთხვევაში და როგორ დავუკავშირდეთ სასწრაფო დახმარებას, რა ტიპის ინფორმაცია გადავცეთ, როგორ შევაფასოთ ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობა, საჭიროების შემთხვევაში როგორ მოვახდინოთ პირველადი ინტერვენცია, როგორ დავიცვათ თავი, რომ თავად არ დავზიანდეთ დახმარების გაწევისას. კურსებზე ისწავლება პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები და ძირითადი მანიპულაციები, სიცოცხლის შესანარჩუნებლად, სპეციალური სამედიცინო ჯგუფის მოსვლამდე და ა.შ.
მეორე ეტაპზე იგეგმება ADB-ს (ADDETTO ALL'ASSISTENZA DI BASE), პერსონის დამხმარის საბაზისო კურსი, რომელიც 600 საათს მოიცავს, აქედან 270 საათი თეორიული ნაწილია, ხოლო 330 საათს სტუდენტები სამედიცინო სტრუქტურებში გაივლიან პრაქტიკას, რაც მათ მოხუცებულთა და სამედიცინო-სარეაბილიტაციო სტრუქტურებში დასაქმებაში დაეხმარება.
კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა ოფიციალური ატესტატი.
პროექტი დაიგეგმა და ხორციელდება იტალიაში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტის, ნინო მამუკაძის ინიციატივითა და კურატორობით, იტალიურ აკრედიტირებულ სასწავლო ცენტრ Bee trained-ში.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO